ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2372599

ნომერი: AR1365594

თარიღი : 21.12.2015

გაცემის თარიღი : 13.01.2016

გაცნობის თარიღი : 13.01.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა არტურ ლაისტი , N 9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა მირზიაშვილი პ/ნ 01024025897
- თბილისი პლ.იოსელიანის ქ. N 37 ბ. 49

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 ნოემბრის №6/2837 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 21 დეკემბრის #AR1365594 განცხადებით მომართეს მამუკა მირზიაშვილმა, შპს „ორთაჭალის ტურფა“–ს და შპს „T58“–ის დირექტორმა თორნიკე აბულაძემ, ასევე შპს „ევრონიშნული“–ს დირექტორმა მერაბ ბაღათურიამ და მოითხოვეს ამავე სამსახურის 2010 წლის 17 ნოემბრის №ნ/2837 ბრძანებაში ცვლილების შეტანა სამშენებლო ობიექტის მესაკუთრის ცვლილებიდან გამომდინარე.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 28 სექტემბრის N20/830 ბრძანებით ქ. თბილისში (ზონა – თბილისი, სექტორი – ისანი), მეგობრობის პარკის დასაწყისში, შპს „ორთაჭალის ტურფა“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N003/135) შეთანხმდა საცხოვრებელი კომპლექსი „ორთაჭალის ტურფა“–ს N8 კორპუსის არქიტექტურული პროექტი. 2006 წლის 20 დეკემბერს Nნ/882 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. 2008 წლის 09 ივლისის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით Nნ/1029 ბრძანებით გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა და Nნ/1029 მშენებლობის სანებართვო მოწმობა, რომელშიც მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2008 წლის 24 ივლისიდან 2010 წლის 24 ივლისამდე. აქტში დამკვეთად დაფიქსირდა შპს „ორთაჭალის ტურფა“. მოგვიანებით, სამსახურის ბრძანებებით, რამდენიმეჯერ მოხდა მშენებლობის ვადის გაგრძელება და საბოლოოდ სამსახურის 07.05.2014 წლის №1245565 ბრძანებით მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 06 მაისის ჩათვლით.

ამავე სამსახურის 07.10.2015 წლის №2231093 ბრძანებით ცვლილება შევიდა 17/11/2010წ. Nნ/2837 ბრძანებაში და დამკვეთად, შპს „ორთაჭალის ტურფა“–სთან ერთად დამკვეთად დაფიქსირდა შპს „ევრონიშნული“.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების მე–20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშე¬ნებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მი¬სი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 26–ე მე–4 პრიმა მუხლის მე–7 პუნქტის თანახმად, "მშენებარე ობიექტზე საკუთრების უფლების (უფლებების) რეგისტრაციის შემთხვევაში, დამკვეთი (პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი) არის მიწის ნაკვეთის თავდაპირველი მესაკუთრე/მოსარგებლე (პირი, რომელზედაც გაიცა მშენებლობის ნებართვა) ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–6 თავის, 63–ე მუხლის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 26–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილედეს მამუკა მირზიაშვილის, შპს „ორთაჭალის ტურფა“–ს და შპს „T58“–ის დირექტორის თორნიკე აბულაძის, ასევე შპს „ევრონიშნული“–ს დირექტორის მერაბ ბაღათურიას 2015 წლის 21 დეკემბრის #AR1365594 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 ნოემბრის №ნ/2837 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს "ორთაჭალის ტურფასთან" (ს/კ:205090998) და შპს "ევრონიშნულთან" ს/კ:205291691 ერთად შპს "ტ58" ს/კ:404994137;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 ნოემბრის №ნ/2837 ბრძანებასთან ერთად;
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი,

შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.